

ა(ა)იპ „თავისუფალი მედია სივრცე“ თავის სამაუწყებლო ზონაში (გურიის რეგიონი)
მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების
შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ.ოზურგეთი

2019 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია გურიის რეგიონის სამაუწყებლო ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცენტანტი“).

1. გურიის რეგიონის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1.1. მომსახურება იქარმოებს DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2(H-264 – JSO/JES 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T პარამეტრებით SD არხის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს არანაკლებ 2,15 მგბტ/წმ-ისა;

1.2. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ.ოზურგეთი, რუსთაველის ქ.#22

1.3. აქცენტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართზე

1.4. ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეოსიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით.

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 გურიის რეგიონში ღია ეთერით 1 მგბტ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 400 ლარს დღგ-ს გარეშე

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1 „აქცენტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს :

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2019 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე 2020 წლის 1 თებერვლამდე

ავთანდილ გველებიანი



ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის

დირექტორი